

ქ.თბილისი

21 იანვარი 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ზ.გაიპარაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გ.ტალახაძე

კომისიის წევრები: ზ.სხირტლაძე, მ.ციციშვილი, მ.მანია, მ.კოკოჩაშვილი, გ.ხომტარია, ვ.დავითაია, ი.მასხარაშვილი, ი.კომორიძე, ნ.ჯაბუა, გ.იაშვილი, ლ.სილაგაძე, მ.მაცაბერიძე, დ.შველიძე, ქ.მურუსიძე, ი.მირიჯანაშვილი.

სათათბირო ხმის უფლებით: თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი ს.სანაძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი ი.მერკვილიშვილი

დღის წესრიგი: 1921 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის მხატვრულ-არქიტექტურული ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების კონკურსის წესით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2013 წლის 12 ნოემბერს გამოცხადებულ (საკონკურსო განცხადების #1020) კონკურსში მონაწილეთა საკონკურსო წინადადებების გახსნა და დოკუმენტაციის შერჩევა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის აპარატის ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ საკონკურსო წინადადება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა ცხრა კონკურსანტმა, რომელთა დევიზია: 1. „სამი რგოლი“ 333; 2. „18 21 91“ -1; 3. „კელაპტარი“ - 2014; 4. „მწვანე კვადრატი“ - 123457; 5. „Vიქტორია“ - 7; 6. „არ დავივიწყოთ წარსული“ - #32; 7. „ჩვენი ისტორია“ - #23; 8. „გარდასახვა“ - 3 1111; 9. „ამ სტუდენტებმა დაუკავშირეს თავიანთი მომავალი ქვეყნის მომავალს“ 13 .

საკონკურსო კომისიამ გახსნა ცხრავე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტები, გამოაცხადა ფასები და განიხილა მათ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების თანმხლები დოკუმენტები.

საკონკურსო წინადადებების თანმხლები დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დადგინდა იქნა:

კონკურსანტის - „სამი რგოლი“ 333 - (ალექსანდრე კვატაშიძე) - საკონკურსო წინადადების ფასი: 3750.00 ლარი. წარმოდგენილია: საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რეკვიზიტები, წინადადების ფასი, ხარჯთაღრიცხვა 29965.00 ლარზე, ინფორმაცია მომსახურების ვადების შესახებ, განმარტებითი ბარათი, პლანშეტი, მაკეტი, სიტუაციური გეგმა, CD დისკი.

კონკურსანტის - „18 21 91 -1“ - (მამუკა ჩხაიძე)-საკონკურსო წინადადების ფასი: 4000.00 ლარი. წარმოდგენილია: საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რეკვიზიტები, წინადადების ფასი, ხარჯთაღრიცხვა 22500.00 ლარზე, ინფორმაცია მომსახურების ვადების შესახებ, განმარტებითი ბარათი, პლანშეტი, მაკეტი, სიტუაციური გეგმა, CD დისკი.